

საქართველოს მთავრობის
განკარგულება №2264

2017 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ შპს „ენგურჰესის“ ფინანსური
ვალდებულებების 3 წლით გადავადების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ენგურჰესს“ შორის „ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების მომსახურების შესახებ“ 2009 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებისა და „ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან“ დაკავშირებით 2010 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ენგურჰესისთვის“ ძირითადი თანხის მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების 3 წლით გადავადების თაობაზე.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „ენგურჰესს“ შორის „ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების მომსახურების შესახებ“ 2009 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებისა და „ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტთან“ დაკავშირებით 2010 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ენგურჰესისთვის“ ძირითადი თანხის მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების 3 წლით გადავადება, საურავების დარიცხვის გარეშე (მათ შორის, 2017 წლის 25 ოქტომბრის გადასახდელის).

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

